



მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი

საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების და მედიის განვითარების
ხელშეწყობა

საკონკურსო წინადადება

ცნობები ორგანიზაციის შესახებ

მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი (შემდგომ: კავკასიური ინსტიტუტი) საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე ძველი და გამოცდილი არასამთავრობო ორგანიზაციაა: ის 1992 წლის 7 აგვისტოს დაარსდა.

დაარსების დღიდან მისი ძირითადი მისიაა დემოკრატიის და ლიბერალური ღირებულებების მხარდაჭერა. ამ მიზნების მიღწევას კავკასიური ინსტიტუტი ესწრაფვის საქართველოში დემოკრატიზაციის სხვადასხვა ასპექტის კვლევის, მოქალაქეთა პოლიტიკურ პროცესებში ჩართვის, სხვადასხვა დონეზე აქტუალურ პოლიტიკურ საკითხებში დებატების მოწყობის, დემოკრატიასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებში მოქალაქეთა ცოდნის და ინფორმირებულობის ამაღლების გზით.

თუმცა თემატურად კავკასიურ ინსტიტუტს ინტერესთა საკმაოდ ფართო სპექტრი აქვს, ბოლო წლებში გამოიკვეთა მუშაობის სამი ძირითადი მიმართულება:

- სამოქალაქო ინტეგრაცია ეთნიკური და რელიგიური პლურალიზმის პირობებში
- ქმედუნარიანი დემოკრატიული ინსტიტუტების (განსაკუთრებით თვითმმართველობის, სამოქალაქო საზოგადოების და მედიის) განვითარების ხელშეწყობა

- პოლიტიკის (policy) ანალიზის და ფორმირების პროცესის გაუმჯობესება და მიზანზე ორიენტირებული პოლიტიკური დიალოგის მხარდაჭერა

მისი არსებობის მანძილზე, კავკასიურ ინსტიტუტს მრავალი პროექტი აქვს განხორციელებული როგორც დამოუკიდებლად, ისე საერთაშორისო თუ ადგილობრივ პარტნიორებთან თანამშრომლობით. ამ განაცხადს ვურთავთ ინსტიტუტის ბოლო სამი წლის ანგარიშებს. აქ გამოვყოფთ უკანასკნელი დროის შემდეგ შედარებით მსხვილ პროექტებს:

„საინტეგრაციო გარემოს გაუმჯობესება საქართველოში მაცხოვრებელი უმცირესობებისათვის საშუალო სკოლის რეფორმირების მეოხებით“, დონორი - ევანგელური განვითარების სამსახური (EED), 2008-2010 წწ., მოცულობა - €370 000.

„დამოუკიდებელი მედია სამოქალაქო ინტეგრაციისთვის“, დონორი - ევროკომისია, 2007-2010, მოცულობა - € 479 576.

„დეცენტრალიზაციის და ადგილობრივი მმართველობის რეფორმირების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის ხელშეწყობა“ (ნიდერლანდების სოციალური კვლევების ინსტიტუტთან ერთად), დონორი - ნიდერლანდების საგარეო სამინისტრო, 2010-2013, მოცულობა - € 670 988.

„ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში ახალგაზრდების ინტეგრაცია საგანმანათლებლო და კულტურული ინიციატივების გზით“, დონორი - ევანგელური განვითარების სამსახური (EED), 2011-2013, მოცულობა - € 230 000

კავკასიური ინსტიტუტი წლების განმავლობაში ზრუნავს თავისი ორგანიზაციული სტრუქტურის დახვეწაზე. მისი საქმიანობის ფინანსური ასპექტი გამჭვირვალეა, რეგულარულად ტარდება ფინანსური აუდიტი, თვითშეფასების და გარეშეფასების პროცედურები, სტრატეგიული დაგეგმვის სესიები, მათ შორის საერთაშორისო კონსულტანტების მონაწილეობით. ინსტიტუტის წლიური ბიუჯეტი მერყეობს ნახევარი და ერთი მილიონი ამერიკული დოლარის ექვივალენტებს შორის.

ვითარების ანალიზი და პროგრამის ზოგადი მიზანი

საქართველო არის ახალგაზრდა, მზარდი დემოკრატია, რომელიც თავის განვითარებაში მრავალ პრობლემას აწყდება. 2012 წლის ოქტომბერში აქ პირველად მოხდა ხელისუფლების შეცვლა არჩევნების გზით, რაც ქართულმა საზოგადოებამაც და მსოფლიო თანამეგობრობამაც მნიშვნელოვან ნაბიჯად ჩათვალა. მოუხედავად ამისა, საქართველოს ჯერ არ მიუღწევია დემოკრატიის კონსოლიდაციის ეტაპისთვის,

როდესაც დემოკრატიის ძირითადი ინსტიტუტების ფუნქციონირება რუტინად იქცევა და მოსახლეობის კრიტიკული უმრავლესობა მას სრულად ენდობა.

ქართული დემოკრატიის ერთ-ერთი სისუსტეა მედიის და ზოგადად სამოქალაქო საზოგადოების არასათანადო განვითარება. მართალია, ორივე ეს სექტორი არსებითად თავისუფალი, პლურალისტური და აქტიურია, მაგრამ სერიოზული სტრუქტურული პრობლემები ახასიათებს. სამოქალაქო ორგანიზაციები ძირითადად უცხოელ დონორებზე არიან დამოკიდებული, მათ პრიორიტეტებს მიჰყვებიან და ნაკლებად არიან დაკავშირებული საზოგადოების ფართო ფენებთან. მედია მეტისმეტად პოლიტიზებულია, რაც ნიშნავს, რომ ის პოლიტიკური სუბიექტების ინტერესებს უფრო ეხმიანება, ვიდრე მაყურებლის, მსმენელის თუ მკითხველის საჭიროებებს.

საერთაშორისო დონორები დიდი ხანია ეხმარებიან ამ სექტორების წარმომადგენელ ორგანიზაციებს და გარკვეულ შედეგებს მიაღწიეს, განსაკუთრებით ორგანიზაციათა პროფესიული დონის ამაღლების კუთხით. თუმცა, „სამოქალაქო საზოგადოება“ მაინც შედარებით განვითარებული, „ელიტური“ ორგანიზაციების ვიწრო წრესთან ასოცირდება.

ამ ფონზე, რა დამატებითი შედეგის მიღწევა შეიძლება პრეზიდენტის ფონდის მიერ გამოყოფილი მილიონლარიანი პროგრამის მეშვეობით? ჩვენი აზრით, ყველაზე ეფექტური იქნება, თუ პროგრამა ძირითად მიზნად სამოქალაქო საზოგადოების წრის გაფართოებას დაისახავს, მასში ახალი მონაწილეების, განსაკუთრებით ახალგაზრდობის ჩართვის, მედიაში ახალი და ინოვაციური მეთოდების და ფორმატების დანერგვის და განვითარების მეშვეობით.

პროგრამის თემატური პრიორიტეტები

პროგრამის მეტი ეფექტურობისთვის აუცილებელია გამოიყოს გარკვეული თემატური პრიორიტეტები. ქართულ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ პროცესზე მრავალწლიანი დაკვირვება საშუალებას გვაძლევს, გამოვყოთ მოწყვლადი სფეროები, რომლებშიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საზოგადოების გააქტიურება და დემოკრატიული ინსტიტუტების პროგრესი. ჩვენი აზრით, ესენია:

- თავისუფალი მედია
- ადგილობრივი თვითმმართველობა
- რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების უფლებები და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობა

ასეთი პრიორიტეტული სფეროების რიცხვს უეჭველად მიეკუთვნება სასამართლოს დამოუკიდებლობის განმტკიცება და განვითარებაც, მაგრამ ამ სფეროში მუშაობა შედარებით ვიწრო სპეციალიზაციას მოითხოვს, რის გამოც ნაკლებ ეფექტურად მივიჩნით შემოთავაზებულ პროგრამაში ასეთი პრიორიტეტის გამოყოფა.

პროექტების შერჩევის პრინციპები და კრიტერიუმები

ჩვენი აზრით, პროგრამის მიზნების მისაღწევად ყველაზე ეფექტური გზაა, წახალისებული იყოს მუშაობის შემდეგი მიმართულებები.

- მიმდინარე საზოგადოებრივი და პოლიტიკური ვითარების მონიტორინგი და ანალიზი (რაც გულისხმობს შესაბამისი ინფორმაციის ფართო გავრცელებას და განხილვას)
- მოქალაქეთა ჩართვა დისკუსიებში დემოკრატიის განვითარების კონკრეტული გზების გამოსარკვევად
- მედიაში ინტერნეტული პლატფორმების განვითარება (მაგალითი: სკაიპ-ტელევიზიები, სამოქალაქო ჟურნალისტიკის სხვადასხვა ფორმა)

საქმიანობის ამ სფეროების შერჩევისას იმ პრინციპით ვიხელმძღვანელებთ, რომ კონკრეტული შედეგი შედარებით მცირე ფინანსური რესურსებით იქნება მიღწეული.

პროექტების შერჩევისას გამოყენებული იქნება შემდეგი კრიტერიუმები:

- განმახორციელებელ ორგანიზაციას აქვს პროექტის მიზნებისა და მისი მიღწევის საშუალებების ნათელი ხედვა
- პროექტის მიზნები და განხორციელების საშუალებები შეესაბამება პროგრამის მიზანს
- ორგანიზაციას და/ან მის წევრებს აქვთ პროექტის განხორციელებისთვის საჭირო კომპეტენცია და უნარ-ჩვევები
- პროექტის სავარაუდო განმახორციელებლები ავლენენ ინოვაციურ, დამოუკიდებელ ხედვას.
- პროექტის განხორციელება არ ემსახურება რომელიმე პოლიტიკური პარტიის ინტერესებს

პროგრამის განხორციელების ტექნიკური პარამეტრები

კავკასიური ინსტიტუტი მოახდენს პროგრამის ზოგად ადმინისტრირებას. საგრანტო პროგრამების განხორციელების მიზნით შეიქმნება გამგეობა 7 წევრისგან. ესენი იქნებიან მაღალი საზოგადოებრივი რეპუტაციის მქონე ადამიანები, რომელთაც ექნებათ კომპეტენცია შესაბამის სფეროებში. გამგეობის წევრი არ შეიძლება იყოს ადამიანი, რომელიც ასოცირებულია რომელიმე პოლიტიკურ პარტიასთან.

საგრანტო პროგრამები განხორციელდება ციკლურად, სავარაუდოდ გამოცხადდება სამი ჯერი („ქოლი“).

ტიპური გრანტის ოდენობა არ აღემატება 25-30 ათას ლარს. გრანტების მიღება შეუძლიათ არასამთავრობო ორგანიზაციებს და მედია-საშუალებებს. რადგან პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია სამოქალაქო საზოგადოების წრის გაფართოება და მასში ახალი მონაწილეების ჩართვა, საჭიროდ მიგვაჩნია პროგრამაში ტრენინგ-კომპონენტის შეტანა, რისი მიზანია პროექტების განხორციელებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარება. კავკასიურ ინსტიტუტს აქვს სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებაზე მიმართული ტრენინგების ჩატარების გამოცდილება, თუმცა საჭიროების შემთხვევაში ის მოიხმობს საქართველოში არსებულ სხვა რესურსებს.

კავკასიური ინსტიტუტის თანამშრომლები მოახდენენ საგრანტო პროექტების მიმდინარეობის რეგულარულ მონიტორინგს და შეფასებას. გარდა ამისა, კავკასიური ინსტიტუტი დაიქირავებს დამოუკიდებელ კონსულტანტებს პროგრამის ეფექტურობის შუალედური და საბოლოო შეფასებისთვის.

პროგრამის განხორციელების სავარაუდო ვადა - 18-24 თვე. საჭიროების შემთხვევაში, პროექტის განხორციელების ვადები შეიძლება შემჭიდროვდეს.

პროგრამის წარმატების შეფასების კრიტერიუმები

პროგრამის წარმატება შეიძლება შეფასდეს შემდეგი კრიტერიუმებით:

- ამაღლდა საზოგადოების ინფორმირებულობის დონე დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებში
- გაიზარდა მოქალაქეთა ჩართულობა პოლიტიკური და საზოგადოებრივი პროცესების განხილვასა და პროგრესის გზების დასახვაში, მათ შორის საქართველოს სხვადასხვა რეგიონში

- გაიზარდა ინტერნეტ-მედიის ხარისხი და მრავალფეროვნება.
- გაიზარდა სამოქალაქო მონაწილეობის მომცველობა და ხარისხი ეთნიკური უმცირესობების მხრიდან

კავკასიური ინსტიტუტის საკონტაქტო ინფორმაცია

მისამართი: თბილისი, აკაკი წერეთლის პროსპექტი 72, ტელეფონი 235 5154, ელ ფოსტა:
info@cipdd.org, ვებ-გვერდი www.cipdd.org